ხელშეკრულება №ო-ბ-134
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი 22 აპრილი 2016 წელი

სსიპ ქ. თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახ. თეატრი (ქ.თბილისი, რუსთაველის გამზ. №25, ს.კ. 203853954, შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ალექსანდრე მოწონელიძის სახით და შ.პ.ს ,, დიჯითი" (ქ.თბილისი ინგოროყვას ქ. №22; ს.კ. 404417831, შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“), წარმოდგენილი მინდობილი პირის მინდია მამულაშვილის სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მრ-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს'“ ქვ. პუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული საქონელი.

1.7. „ინსპექტირება“ - ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების ღირებულების ფარგლებში სსიპ ქ. თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახ. თეატრის მფლობელობაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების რეცხვის მომსახურების შესყიდვა (CPV50112300) წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული დანართი №1-ს შესაბამისად.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 720 (შვიდას ოცი)ლარს.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს „მიმწოდებლის“ მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.2. წინამდებარე ხელშეკლრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველისათვის“, გარდა, სქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

4. მომსახურების გაწევის პირობები და ვადები

4.1. მიმწოდებლის მიერ მომსახურების გაწევა განხორციელდება ეტაპობრივად, ტალონების მეშვეობით. ტალონების მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში, ხელშეკრულების გაფორმებიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

4.2. „მიმწოდებელმა" უნდა უზრუნველყოს ავტომანქანის რეცხვა, ავტომანქანის სამრეცხაოში მისვლიდან არაუგვიანეს 30 წუთისა.

4.3. რეცხვის ტალონი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: მიმწოდებლის დასახელება, ტალონის იდენტიფიცირების ნომერი, ავტომანქანის სახეობა (ჯიპი/სედანი), მიმწოდებლის ბეჭედი.

4.4. მომსახურების გაწევის დროს „მიმწოდებლის" ბრალეულობით „შემსყიდველია" ავტომობილზე მოყენებული ნებისმიერი ზიანის ანაძრაურების ვალდებულება ეკისრება „მიმწოდებელს".

4.5. „მიმწოდებელმა" უნდა უზრუნველყოს ავტომანქანის რეცხვა შემდეგ მისამართებზე: ქ.თბილისი: ქავთარაძის ქ. 19; ჯიქიას ქ. 5; გელოვანის ქ. 6; ბელიაშვილის ქ. 14ა; გორგასლის ჩიხი 2ა(40); სანაპიროს ქ. 8(ლაგუნასთან) მიმდებარედ; ბაქრაძის ქ. 6; რუსთავი: თოდრიას II ჩიხი I ბინის წინ; ბათუმი: აეროპორტის გზატკეცილი 40.

5. ხარისხი

5.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, ხარისხიანი (სტანდარტების შესაბამისი) მომსახურების გაწევაზე.

5.2 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველისაგან უხარისხო მომსახურების თაობაზე შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს ხარვეზის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

6. ინსპექტირება

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს/პირებს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას/მათ ინსპექტირების განხორციელების დროს.

6.2. შემსყიდველის მხრიდან ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ ქ. თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახ. თეატრის სამეურნეო სამსახურის უფროსი თეიმურაზ ცუცქირიძე.

6.3. შემსყიდველის მიერ ინსპექტირება განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

7. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მომსახურების ან მისი ნაწილის (ეტაპი) მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების დადებითი დასკვნის საფუძველზე.

7.2 გაწეულ მომსახურებაზე გაფორმებული აქტების საფუძველზე, მომწოდებელმა უნდა წარმოადგინოს საგადასახადო დოკუმენტაცია.

7.2 მომსახურების (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად;

გ) დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი.

8.2. ხელშეკრულების ფასიანი მომსახურების ანგარიშსწორება მოხდება რეცხვის ტალონის მიწოდების შემდეგ გაფორმებული მიღება-ჩაბარების საფუძველზე არაუგვიანეს 15 სამუშაო დღის განმავლობაში.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულებების ღირებულების 0.5%-ის ოდენობით.

10.2. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

12.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

15. ფორს-მაჟორი

15.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების

შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2. ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად, ქართულ ენაზე. აქედან ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი რჩება შემსყიდველს.

17. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახ. თეატრი მისამართი: რუსთაველის გამზ. №25 ს.კ. 203853954	შ.პ.ს ,, დიჯითი" მისამართი: ქ.თბილისი ინგოროყვას ქ. №22 ს.კ. 404417831 სს ვითიბი ბანკი ჯორჯია ბანკის კოდი:UGEBGE22 ა.ა. GE 73 VT 7000 0000 1111 4444 ტელ: 591 97 20 70
დირექტორი: ალექსანდრე მოწონელიძე	მინდობილი პირი: მინდია მამულაშვილი

№	ა/მანქანა	რაოდენობა	ერთ. ფასი (ლარი)	სულ ფასი (ლარი)
1	"სედანის" ტიპის ავტომანქანის ძარის, სალონისა და საბარგულის გარეცხვა	90 რეცხვის ტალონი	8	720
ჯამი				720

შემსყიდველი
სსიპ ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახ. თეატრი

დირექტორი
ალექსანდრე მოწონელიძე

მიმწოდებელი
შპს "დიჯითი"

მინდობილი პირი
მინდია მამულაშვილი